

„მსგავსი ნასესხობანი აჭარულსა და ლაზურში“

ისტორიული ავბედითობა ლაზეთს და აჭარას ერთნაირად დაატყდა თავს. ამ ისტორიულმა ავბედითობამ ბევრი ცვლილება მოახდინა ამ რეგიონის ცხოვრებაში. სამასი წელი არც თუ ისე მოკლე დროა რასაც შეეძლო ცვლილებები განეხორციელებინა ამ კუთხეებისთვის. პირველი და მთავარი ცვლილება რელიგიური სტატუსის იძულებით შეცვლა გამოიწვია. ამ ცვლილებას ერთი კარგი მხარე აღმოაჩნდა, გენეტიურად ერი არ შეცვლილა და შეინახა მისი იდენტობა. მეორე მხარე არც თუ ისე სახარბიელოა, რადგან სასაუბრო აჭარულ და ლაზურ დიალექტებში შევიდა უამრავი თურქულ-არაბული ლექსიკური ერთეული.

საქართველოს გეოგრაფიული განლაგება მუდამ იყო ახლო და შორეული მეზობლების პოლიტიკური, ლინგვისტური თუ კულტურული ინტერესის საგანი. ქვეყნის ოთხივე მხარესთანაა დაკავშირებული ცნობილი თუ უცნობი ისტორიული, ლინგვისტური და ეთნოგრაფიული პერიპეტიები, რომლებიც მუდმივი კვლევისა და შესწავლის უმდიდრეს მასალას გვაძლევს. ამ მხრივ განსაკუთრებულია შავი ზღვის რეგიონი და აქ მცხოვრებთა სალაპარაკო დიალექტები - ლაზური და აჭარული.

ისტორიულად განპირობებულმა თურქული ენის გავლენამ უამრავი საერთო ნასესხობანი შემოგვიტანა, როგორც ლაზურში ისე აჭარულ დიალექტში. ეს პროცესი უცხო არ არის, არც ფონეტიკური და არც სემანტიკური თვალსაზრისით. თურქული ენის გავლენა სამწუხაროდ იმდენად ძლიერი იყო, რომ დღესაც გვესმის ქართულ სალაპარაკო ენაში მისი ლექსიკური ნასესხობანი. დომინირებს ის ნასესხობანი, რომელთაც არ გააჩნიათ ქართული პარალელური შესატყვისები ამ დიალექტებში, ანდა ზედმეტ ჩაკითხვას ითხოვს რესპოდენტთან იმისათვის, რომ პარალელური ფორმა მოიძიოს, ან გაიხსენოს. ამიტომაც შემოგვრჩა ამ ტიპის ლექსიკა ასე დიდხანს.

საინტერესო გახლავთ ის ფაქტი, რომ ლაზურშიც და აჭარულშიც გვაქვს ერთნაირი ნასესხობანი, ნუთუ აღარ ახსოვთ ქართულში შესაბამისი შესატყვისი ან დაკარგული აქვთ.

თანამედროვე თურქეთის ლაზეთში ლაზურად საუბრისას ხშირად იყენებენ თურქულ ნასესხობებს, თუმცა უამრავ ლექსიკურ ნასესხობებს გააჩნია ლაზური შესატყვისები. ორი ენის მატარებელთ უჭირთ ამ ლინგვისტური წესის დაცვა და მიმართავს ხშირ შემთხვევაში დომინანტი ენის შესატყვისობებს გვეუბნებიან. მშობლიური ლაზური გადადის უკანა პლანზე, რაც ამცირებს ხალხში ლაზურის მოხმარების ლინგვისტურ არეალს. წინ მოექცა სახელმწიფო ენა თურქული, რომელმაც შეავსო ყველა ლინგვისტური ვაკუუმი (სკოლა, ქუჩა, ტელევიზია, განათლების ინსტიტუციები...).

ამჯერად მსურს ყურადღება გავამახვილო თურქული ენის საერთო ნასესხობებზე ლაზურსა და აჭარულში თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, მათ ფონეტიკურ ცვალებადობაზე, საერთო და განმასხვავებელ ნიშანთვისებებზე.

უცვლელი სახით შემოვიდა ლაზურში და აჭარულში:

ლაზ; ბოხჩა (67) აჭ; ბოხჩა(44) - თურქ; bohça ქართ: შეკვრა, პაკეტი

ლაზ; დასადი (327) აჭ; დასადი (192) - თურქ; yasad ქართ; აკრძალვა

ლაზ; ბურელი(70) აჭ; ბურელი(47) - თურქ; börek ქართ; ნამცხვარი

ლაზ; მუდირი(540) აჭ; მუდირი(178) - თურქ; müdür ქართ; დირექტორი

ლაზ;თერცი (295) აჭ; თარცი/თერსი (113)თურქ: ters ქართ: უკუღმა

ლაზ:თემიზი (129) აჭ: თემიზი (115)თურქ: temiz ქართ: სუფთა

ლაზ:თემბელი (293) აჭ: თემბელი(115)თურქ: tembel ქართ: ზარმაცი

ლაზ:თოფალი (304) აჭ: თოფალი(122) თურქ: topal ქართ: კოჭლი

ლაზ:ინსანი (316) აჭ: ინსანი (127) თურქ: insan ქართ: ადამიანი

ლაზ:იზინი (313) აჭ: იზინი (126) თურქ: izin ქართ: ნებართვა

ლაზ:იშარეთი (321) აჭ: იშარეთი (129) თურქ: işaret ქართ: მინიშნება, ნიშანი

ლაზ:კოლაი (378) აჭ: კოლაი (141) თურქ: kolay ქართ: იოლი, ადვილი

ლაზ: დეთიმი (331) აჭ: დეთიმი (193) თურქ: yetim ქართ: ობოლი

ლაზ: ვათანი (273) აჭ: ვათანი (103) თურქ: vatan ქართ: სამშობლო

ლაზ: ეჯელი (272) აჭ: ეჯელი (102) თურქ: ecel ქართ: სიკვდილის ჟამი

ლაზ: ზორი (286) აჭ: ზორი (107) თურქ: zor ქართ: რთული, ძნელი

ლაზ: ზიბილი (285) აჭ: ზიბილი (106) თურქ: zibil ქართ: ჭუჭყიანი

ლაზ: დუშმანი (230) აჭ: დუშმანი (97) თურქ: duşman ქართ: მტერი

ლაზ: გელინი (100) აჭ: გელინი (67) თურქ: gelin ქართ: რძალი

ლაზ: დერდი (193) აჭ: დერდი (92) თურქ: dert ქართ: დერდი

ცვალებადი ნასესხობანი:

ლაზ; მუბარელი(540) აჭ; მუბარეჟი(178) - თურქ; mubarek ქართ; კურთხეული, წმინდა, დალოცვილი;

ლაზ; ოკა(603) აჭ; ოყა(197) - თურქ; okka ქართ; წონის საზომი ერთეული

ლაზ; რისკი() აჭ; რიზღი / რისყი (207) - თურქ; risk ქართ; წილი, ხვედრი

- ლაზ; კაიმალი (351) აჭ; კაიმალი (131) - თურქ; kaimak ქართ; ნაღები
- ლაზ; დოშელი (230) აჭ; დოშეჟი (95) - თურქ; döşek ქართ; ფარდაგი
- ლაზ; დირელი (197) აჭ; დირელი (94) - თურქ; direk ქართ; ბოძი
- ლაზ; ენიშტე (253) აჭ; ენიშტე (100) - თურქ; enişte ქართ; სიძე
- ლაზ; ზახმეტი (282) აჭ; ზახ/ჰ მეტი (105) - თურქ; zahmet ქართ; გარჯა
- ლაზ; ზენგინი (283) აჭ; ზენგილი (106) - თურქ; zengin ქართ; მდიდარი
- ლაზ; მუთჟალი (542) აჭ; მუთვალი (178) - თურქ; mutfak ქართ; სამზარეულო
- ლაზ; მუსაჟირი (548) აჭ; მუსაფირი (173) - თურქ; misafir ქართ; სტუმარი
- ლაზ; მუ()არეზე (540) აჭ; მუხარეზე (180) - თურქ; muharebe ქართ; ომი
- ლაზ; მუ()აჯირი (540) აჭ; მუხაჯირი (180) - თურქ; muhacir ქართ; გაქცეული, ემიგრანტი
- ლაზ; მუხური(542) აჭ; მუხური (181) - თურქ; muhur ქართ; ბეჭედი, შტამპი
- ლაზ; ხარმანი (874) აჭ; ხარმანი (332) - თურქ; harman ქართ; კალო, გროვა

თურქულ ენაში არსებული ნაწარმოები ზმნები სახელი+დამხმარე ზმნა, სადაც თავად თურქულში სახელადი ნაწილი არაბული ან სპარსულია, თურქული ენა ამატებს დამხმარე ზმნებს და მიიღება ახალი ზმნა ,ასეთივე პროცესია აჭარულსა და ლაზურში.სახელადი ნაწილი უცვლელად გადმოდის და ზმნური ნაწილის შესაქმნელად ქართულ თავსართ-ბოლოსართებს იყენებს :

ლაზ:იზინი (313) აჭ: იზინი (126) თურქ: izin almak ქართ: ნებართვა

ლაზ; ო-დელ-უ(596) აჭ; გა-დელ-ებ-ა(52) თურქ; deli olmak ქართ; გაგიჟება

ლაზ; ო-ზარხოშ-უ(598) აჭ; გა-ზარხოშ-ებ-ა(52) თურქ; sarhoş olmak ქართ; თრობა

ლაზ; ო-ფიშმან-უ(663) აჭ; და-ფიშმან-ებ-ა(85) თურქ; pişman olmak ქართ; დანანება;

ლაზ: ო-თემბელ-უ (294) აჭ: გა-თემბელ-ებ-ა (52) თურქ: tembel olmak; ქართ; გაზარმაცება

ლაზ: ო-ხაზირ-უ (696) აჭ: გა-ხაზირ-ებ-ა (52) თურქ: hazırlamak; ქართ; მომზადება; ეს არა მხოლოდ აჭარულსა და ლაზურშია ნასესხები, არამედ გურულ დიალექტშიც იხმარება იმავე შინაარსით.

ლაზ: ო-სეფილ-უ (84) აჭ: გა-სეფილ-ებ-ა (24) თურქ: sefil olmak; ქართ; საწყალი, დასაწყლება.

ლაზ: ო-ფად-უ (663) აჭ: გა-ფაქ-ებ-ა (62) თურქ: pak – la - mak; ქართ; გაწმენდა, დასუფთავება, მოკვლა, მოსპობა

ეს ზმნა საინტერესოა იმით, რომ თავად სიტყვა სპარსულია, ნასესხები აქვს თურქულს და დამატებული აქვს მნიშვნელობები. სპარსულად pak ნიშნავს სუფთა, თურქულმა ისესხა სიტყვა, როგორც სახელი, ასევე ზმნაც შექმნა მაწარმოებელი აფიქსებით -la, -ს დართვით და მიიღო ზმნა **დასუფთავება- paklamak**. აჭარულშიც და ლაზურშიც დასუფთავების ფორმითაც და მოცილება, მობეზრებულის გაცილება, დარჩენილი ნივთის ან შინაბერას გათხოვება, ეს ფორმებიც დაამატა და უფრო მრავალმხრივი მნიშვნელობებით იხმარება.